



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



№ 152

“05” მაისი 2015 წ

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
 თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი, აცხადებს კონკურსს ქალაქ დუშეთის ქუჩების მოასფალტების; ~~შენიშვნა:~~ ^{საქმიანობა:} ომპიტელი-გუდამაყრის სავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობის; სოფელ ახატანი-ბიწმენდის სავტომობილო გზის მოასფალტება, გუდამაყარში ზანდუკის ხიდის საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე – WWW. procurement. gov. ge.- ს საშუალებით, საკონკურსო განცხადება.

დანართი: ოქმი, საკონკურსო განცხადება,

პატივისცემით,

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

/თ. უნდილაშვილი/

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი საკონკურსო
კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ. დუშეთი

05.03. 2015 წ.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

თამაზი უნდილაშვილი – კომისიის თავმჯდომარე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

საკონკურსო კომისიის წევრები:

ჯანსუღ ხონელიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;

თემურ ელიკაშვილი - მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ვლადიმერ კობაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი;

ნიკოლოზ დუდაური - სივრცითი მოწყობის და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი;

ვაჟა ჭინჭარაული - დუშეთის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს სივრცითი, ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

იოსებ პაპიაშვილი - ინფრასტრუქტურის განვითარების რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი.

საკონკურსო კომისიის აპარატი

აეთანდილ რაზმაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

მარიამ ზაქაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დუშეთის ქუჩების მოასფალტების; ომპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობის; სოფელ ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტება ,გუდამაყარში ზანდუკის ხიდის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად, საკონკურსო განცხადების ტექსტის გაცნობა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალურ ვებგვერდზე განთავსება.

/მომხ.ჯანსუღ ხონელიძე/

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო განცხადების ტექსტი, დუშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დუშეთის ქუჩების მოასფალტების; ომპიტელი - გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობის; სოფელ ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტების, გუდამაყარში ზანდუკის ხიდის რეაბილიტაციის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და ინფორმაცია მიაწოდა, საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად თანხის გამოყოფის შესახებ. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ობიექტების რეაბილიტაციისათვის საუკეთესო








პროექტის გამოსავლენად, მიაჩნია კონკურსის ჩატარება და სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ.

აზრი გამოთქვას კომისიის წევრებმა და აღნიშნეს, რომ დღეშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დღეშეთის ქუჩების მოასფალტება; ოშპიტელი - გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობა; სოფელ ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტება, გუდამაყარში ზანდუკის ხიდის რეაბილიტაცია ნამდვილად საჭიროებს რეაბილიტაციას. კონკურსის ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ საუკეთესო პროექტი შენიშების რეაბილიტაციისთვის,

კომისიამ გადაწყვიტა:

1. დღეშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დღეშეთის ქუჩების მოასფალტების; ოშპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობის; სოფელ ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტება, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში ზანდუკის ხიდის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად გამოცხადდეს კონკურსი.
1. დავეალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების თავჯდომარის 2011წლის 10 თებერვლის N 3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის“ მე-5 მუხლის შესაბამისად „უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე;
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე
საკონკურსო კომისიის წევრები:

 /თ. უნდილაშვილი/
 /ვ. ხონელიძე/
 /თ. ელიკაშვილი/
 /ვ. კობაიძე/
 /ნ. დუდაური/
 /ი. პაპაშვილი/
 /ვ. კინჭარული/

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების

შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ.დუშეთი

2015 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ————— 3
2. ტექნიკური დავალება ————— 5
3. ხელშეკრულების პროექტი ————— 7

დუშეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. კონკურსის მიზანია დუშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დუშეთის ქუჩების მოასფალტება; - ომპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობა; სოფელი ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტების გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში ზანდუკის ხიდის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **146 759** (ას ორმოცდაექვსი ათას შვიდას ორმოცდაცხრამეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

4. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

4.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით 50 (ორმოცდაათი) ლარს. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე <http://procurement.gov.ge>.

4.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

4.3 პირის მიერ 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს არ განიხილება.

კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 16 მარტს 13:00 საათზე

5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

6. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

8. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს, წყვეტს საკონკურსო კომისია.

9. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2015 წლის 16 მარტი 10:00 საათიდან 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილება. მეორე სართული.

10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).
11. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
12. ანგარიშსწორება განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

- ა) კონკურსანტის რეკვიზიტები, დანართი N1-ის მიხედვით;
- ბ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;
- გ) 2010-2014 წლების განმავლობაში ანალოგიური საპროექტო მომსახურების შესრულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 400 000 (ოთხასი ათასი) ლარს. ანალოგიურად ჩაითვლება გზებისა და ხიდების საპროექტო სამუშაოები, დანართი N2-ის მიხედვით, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული საპროექტო მომსახურებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
- დ) საპროექტო მომსახურების გამოცდილება არანაკლებ 5 (ხუთი) წლის;
- ე) საკონკურსო წინადადების ფასი დანართი N3-ის მიხედვით.
- ვ) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა (შინაარსი).
- ზ) პრეტენდენტმა უნდა წარმადგინოს ერთი დადებითი რეკომენდაცია სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციიდან მის მიერ 2013-2014 წლების განმავლობაში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, ღირებულებით არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარისა, საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ, რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითებული, თუ რამდენად ხარისხიანად, სრულად და სრულყოფილად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი დოკუმენტაცია იურიდიული და ფიზიკური პირების შემთხვევაში:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ (ურთიერთშედარების აქტი);
- გ) ცნობა სასამართლოდან, ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიობის საქმისწარმოება .
- დ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში) ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების ვადის დასრულების პერიოდის გათვალისწინებით.

3. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი არ არის, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დაბალი ფასი. საკონკურსო კომისია გამარჯვებულს გამოავლენს კომისიის წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
4. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღლი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა

1.	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა (შინაარსი)	კოეფიციენტი - 0.5
2.	დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა	კოეფიციენტი - 0.3
3.	საკონკურსო წინადადების ფასი	კოეფიციენტი - 0.2

5. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 50 (ორმოცდაათი) კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
6. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.
7. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
8. კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ყველა (მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო) დოკუმენტაცია წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.
9. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი რუსთაველი N27, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მე-2 სართული შესყიდვების განყოფილება.

საკონტაქტო პირი: მარიამ ზაქაიძე ტელ: 591 238 238; 346 22 41 21.

10. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია

10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

10.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

10.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

სრული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

დუშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დუშეთის ქუჩების მოასფალტება;; ომპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობა.ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტების, გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში ზანდუკის ხიდის რეაბილიტაცია.

საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას განხორციელებს მიმწოდებელი ანაზღაურების გარეშე .

შენიშვნა: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად , რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი მარიამ ზაქაიძე, მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ N27 , მე-2 სართ. ტელ 346 22-41-21 ; დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილება.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზა გავლილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ექსპერტიზის თანხას ანაზღაურებს მიმწოდებელი.

კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არა უგვიანეს 5 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

ხელშეკრულების პროექტი

ქ.დუშეთი

— 2015 წელი

ერთის მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტი, წარმომადგენელი----- სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ----- წარმომადგენლის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), დებენ ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი N----- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2“ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3“შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4“მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5“დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6„მომსახურება“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7„ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №...) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 დუშეთის მუნიციპალიტეტის ქ. დუშეთის ქუჩების მოასფალტება; -; ომპიტელი-გუდამაყრის სავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობა; სოფელი ახატანი-ბიწმენდის სავტომობილო გზის მოასფალტება.გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში ზანდუკის ხიდის რეაბილიტაცია.

2.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს;

3.2ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური;

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განხორციელოს ხელშეკრულების დადებიდან ----- კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგ-ს.

5.3 ხელშეკრულების დადებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან ---- კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

6.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას დუშეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

6.4 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მხოლოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ (ექსპერტიზის ხარჯები გაიწევა მიმწოდებლის მიერ).

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება, ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი **დღგ-ს** ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სუბკონტრაქტორები

9.1 „მიმწოდებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული საკონკურსო წინადადებაში.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

– გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

10.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10 (ათი) %-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ს.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არა საგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შესრულების ხარისხი

12.1 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შეესაბამება საქართველოში არსებულ სამშენებლო ნორმებს, სტანდარტებს და სრულად აკმაყოფილებს ტექნიკური დავალების პირობებს.

12.2 იმ შემთხვევაში თუ შემდგომი სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას აღმოაჩნდება ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა.

12.3 ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზიანი და გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შემსრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი

რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:
4. კონკურსანტის იურიდიული მისამართი:
5. საიდენტიფიკაციო კოდი:
6. კონკურსანტის ტელეფონის მონომერი:
7. ელექტრონული ფოსტის მისამართი:
8. მომსახურე ბანკის დასახელება:
9. ბანკის კოდი:
10. ანგარიშის ნომერი:

ხელმძღვანელი:

ბ. ა.

დანართი N2

2010-2014 წლების განმავლობაში ანალოგიური საპროექტო

მომსახურების ჩამონათვალი

N	ობიექტის დასახელება	დამკვეთი ორგანიზაცია	სახელშეკრულები ღირებულება	ხელშეკრულებ თარიღი (დაწყების, დამთავრება)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

ხელმძღვანელი:

ბ. ა.

ფასების ცხრილი

N	ობიექტის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (ლარებში)
1	ქ. დუშეთის ქუჩების მოასფალტება;	
2	მჭადიჯვრის - ზემო შუახევის გზის მოასფალტება (სკოლამდე)	
3	ოშპიტელი-გუდამაყრის სავტომობილ გზის მოასფალტება და ახალი ხიდ მოწყობა.	
4	სოფელი ახატანი-ბიწმენდის სავტომობილო გზის მოასფალტება	
5	ზანდუკის ხიდის რეაბილიტაციის	
	სულ	

ხელმძღვანელი:

ბ.ა.